იანვარი, 2016

NEWSLETTER

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

IDFI

მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა, როგორც ღიაობისა და სოციალური დიალოგის საფუძველი

კვლევაში განხილულია მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (Extractive Industries Transparency Initiative - EITI), რომელთან მიერთებას IDFI მხარს უჭერს და მიაჩნია, რომ აღნიშნული სტანდარტის დანერგვა გააუმჯობესებს საინვესტიციო და ზოგადად, ბიზნეს გარემოს, კორპორატიულ მმართველობას, სახელმწიფო პოლიტიკის ღიაობას და ა.შ. კვლევაში ასევე განხილულია ინიციატივის მიზანი და საქართველოში მისი დანერგვის პერსპექტივები.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო

კვლევა ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულებით განიხილავს: ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა და ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს შექმნა. კვლევაში განხილულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი ბიუჯეტების ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გათვალისწინებული სოციალური შეღავათები თუ ფინანსური დახმარება. კვლევის მიზანს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის შესწავლა და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების მიზნით დანერგილი სახელმწიფო ღონისძიებების ანალიზი წარმოადგენდა.

IDFI-ს კვლევა და რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობაში თვითმმართველი ერთეულების ჩართვასთან დაკავშირებით

კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი სახელმწიფოების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებები თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან მიმართებაში. კვლევა აჩვენებს, უმთავრესად, რა საკითხებს უკავშირდება OGP-ის წევრი ქვეყნების მიერ თვითმმართველ ერთეულებთან დაკავშირებით აღებული ძირითადი ვალდებულებები.

კვლევა და რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ანტიკორუფციული სტრატეგიების შემუშავებაზე

კვლევა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მოამზადა, რათა სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, მიმოეხილა თვითმმართველობების მონაწილეობის საკითხები კორუფციის პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტებში და თვითმმართველობებში ღიაობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების დანერგვა და კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვის, სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველსაყოფისა და კორუფციის პრევენციის მიზნით ქმედითი მექანიზმების დანერგვა და აქტიური პოლიტიკის გატარება.

თვის მოვლენა:

2016 წლის 1 და 2 თებერვალს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო ფორუმი „საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“.

ფორუმი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და IDFI-ს დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა გახსნეს. პრემიერ მინისტრმა ისაუბრა საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიღწევებზე.

მთავრობის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, ფორუმზე სიტყვით წარსდგნენ უცხოელი ექსპერტები: მაიკლ ემერსონი, ფედერიკო ტარანტინი, იოხენ ციმერმანი, ანდრეი ილარიონოვი, ლინკოლნ მიტჩელი და მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე. ფორუმის გახსნის ცერემონიაზე მოხსენებებით ასევე წარსდგნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში - იანოშ ჰერმანი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში - ბეტინა კადენბახი.

ფორუმზე განსახილველი თემები იყო:

- საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები
- საქართველოსა და ევროკავშირის პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესი
- საქართველოში დემოკრატიული მმართველობის განვითარების საკითხები

პროექტის „სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა“-ს ფარგლებშივე IDFI-მ გამართა დისკუსია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა და განიხილეს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა, ისაუბრეს მის ძირითად მახასიათებლებზე და შეაჯამეს განვლილი 2015 წელი.

9 თებერვალს კი გაიმართა პროექტის დასკვნითი ღონისძიება - ანალიტიკოსთა დაჯილდოების ცერემონია. კონკურსის ფარგლებში მკვლევარებმა მოამზადეს ანალიტიკური სტატიები სხვადასხვა თემაზე:

- დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ანალიზი
- მარეგულირებელი ორგანოები რკინიგზის სექტორში
- მცირე მიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამა: დიდი ფულის მცირე შედეგები
- სახელმწიფო დასაქმების პორტალი Worknet vs. უმუშევრობის პრობლემა
- არის თუ არა სამედიცინო ბაზარი ჩვეულებრივი ბაზარი?
- ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების (შინმოვლის) განვითარების პრობლემები საქართველოში

დიალოგი კერძო და საჯარო სექტორებს შორის

2016 წლის 18 თებერვალს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ორგანიზებით გაიმართა დიალოგი კერძო და საჯარო სექტორებს შორის (PPD) წყალმომარაგების სფეროს რეგულირების თემაზე.

დიალოგი შედგებოდა სამი თემატური პანელისგან: წყალმომარაგების სფეროს განვითარების პერსპექტივები, სატარიფო რეგულაციები წყალმომარაგების სფეროში და საკანონმდებლო რეგულაციები წყალმომარაგების სფეროში.

საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში

12 თებერვალს საქართველოს პარლამენტში ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს პირველი შეხვედრა გაიმართა. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა საბჭოს დებულება. ასევე, განისაზღვრა მუდმივმოქმედ საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობა და სამი სამუშაო ჯგუფი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა შეხვედრის გახსნისას ისაუბრა იმ პერსპექტივებზე, რასაც ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში ჩართულობა გულისხმობს.

23 თებერვალს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთვის მხარდაჭერის გზებზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე 2016 წელს განსახორციელებელი საკანონმდებლო საქმიანობა მიმოიხილა.

ღია მმართველობის პარტნიორობა მმართველ კომიტეტში (Steering Committee) სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებს ირჩევს. კონკურსში მონაწილეობას იღებს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი გიორგი კლდიაშვილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული OGP-სთან დაკავშირებულ სხვადასხვა საერთაშორისო, რეგიონულ თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

სხვა აქტივობები:

- სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების გაუმჭვირვალობის შედეგები - შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მაგალითზე
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გიორგი კლდიაშვილის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების შესახებ
- არასამთავრობო ორგანიზაციები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების შესაძლო გამჟღავნებასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას ითხოვენ
- IDFI-ს დირექტორმა მონაწილეობა მიიღო რეგიონულ კონფერენციაში ღია პარლამენტები, მოქალაქეთა ჩართულობა

კოალიციური საქმიანობა:

- საზოგადოებრივი ინიციატივა – შეაჩერე!
- კოალიცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური საჩივრით მიმართავს
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მამუკა ახვლედიანი კანონის დარღვევით გაათავისუფლა

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research